



თემო ჯოჯუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
temojua2008@gmail.com



იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი (Jer.GEO.153) და ჯვრის მონასტრის მოურავის იოსებ ნალკელის მინაწერი საბუთი წიგნის შემომწირველების - პავლეს, ბასილის, მიქაელ ხუცესისა და ოპიზის მონასტრის მოხსენიებით (1140-1180-იანი წწ.)

ნაშრომში პირველად არის გამოქვეყნებული და შესწავლილი XI-XII საუკუნეების ოთხთავის (Jer.Geo.153) 101r-ზე შესრულებული მინაწერი საბუთი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოურავის, ყოფილი ნალკელი ეპისკოპოსის, იოსების მიერ არის დანერგილი. მინაწერი საბუთი მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად ოთხთავი პავლესა და ბასილის საკუთრება იყო. მათ ხელნაწერი მიქაელ ხუცესს მიჰყიდეს, ოღონდ ოთხთავის ღირებულების მხოლოდ ნახევარი აიღეს და ნასყიდობის პირობად განსაზღვრეს, რომ მიქაელის გარდაცვალების შემდეგ წიგნი სამივე თანამფლობელის (პავლე, ბასილი, მიქაელი) სახელით ოპიზის მონასტერს უნდა გადასცემოდა. მოგვიანებით, მიქაელი წმიდა მინაზე გაემგზავრა და პილიგრიმოებისას გარდაიცვალა. ჯვრის მონასტრის იმჟამინდელმა მოურავმა, იოსებ ნალკელმა, ოპიზის მონასტერში წერილი გაგზავნა და ითხოვა, რომ ოთხთავი იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეეწირათ. ოპიზელმა მოწესებმა თხოვნა შეიწყნარეს და ხელნაწერი სამწიროს მონასტერს გადასცეს.

საკვანძო სიტყვები: ოპიზა, ჯვარი, სამწირო, ოთხთავი, შეწირვა

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 153-ე ნომრით დაცულია ეტრატზე დაწერილი თავნაკლული ოთხთავი (Jer.Geo.153), რომელიც ქართული სახარების გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ტექსტს შეიცავს (გაბიძაშვილი 2009, 123).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ოთხთავის სამი მოკლე აღწერილობა. ამათგან, პირველი აღწერილობა შედგენილია ალექსანდრე ცაგარლის მიერ და გამოცემულია 1888 წელს, რუსულ ენაზე (Цагарели 1888, 155), მეორე აღწერილობა შედგენილია რობერტ ბლეიკის მიერ და გამოქვეყნებულია 1925 წელს, ინგლისურ ენაზე (Blake 1925, 150-151), ხოლო მესამე აღწერილობა შედგენილია მაია კარანადის, ვლადიმერ კეკელიას, ლელა შათირიშვილისა და ნესტან ჩხიკვაძის მიერ და დაბეჭდილია 2018 წელს, ქართულ ენაზე (ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ 2018, 116).

დღეისათვის ოთხთავის გადაწერის დროის შესახებ ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ალექსანდრე ცაგარლის თანახმად, ხელნაწერი არაუგვიანეს XI საუკუნით თარიღდება (Цагарели 1888, 155), ხოლო რობერტ ბლეიკის მიხედვით, ოთხთავი XII საუკუნეშია გადაწერილი (Blake 1925, 150).

ოთხთავის გადაწერის დროის შესახებ გამოთქმული ამ ორი მოსაზრებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში რობერტ ბლეიკის მოსაზრება უფრო სარწმუნოდ არის მიჩნეული (გაბიძაშვილი 2009, 123; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ 2018, 116).

ოთხთავის გადაწერის ადგილისა და გადამწერის ვინაობის შესახებ დღემდე მხოლოდ ერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ეს მოსაზრება რობერტ ბლეიკს ეკუთვნის. მკვლევარი ხელნაწერის 46v-ზე, უფრო ზუსტად კი, 461v-ზე შესრულებულ მინაწერზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ოთხთავი იერუსალიმში, ქრისტეს საფლავთან, მწიგნობარ იოვანეს მიერ არის გადაწერილი (Blake 1925, 150)1.

ოთხთავის 461v-ზე შესრულებული მინაწერი, რომელსაც რობერტ ბლეიკი ხელნაწერის გადამწერის ანდერძად მიიჩნევდა, შემდეგი სახით იკითხება:

“წ(მიდ) <დ> {ა}წო მახ(ა)ხებ(ე)დნ<ი> {ო} - მათე, მახკ{ო}ზ, დ{უ}კა და ი(ოვან)ე, შეიწყ(ა)დეს {ს(უ)დი | ც(ო)დვ(ი)დისა ჭ(უა)ხის მ(ა)მისა ი(ოვან)ესი” (Image 53 of Georgian 153. Four Gospels. 12th cent. 146 f. Pg. 17 ft., Library of Congress).

1 ოთხთავის ის ფურცელი, რომელზეც რობერტ ბლეიკის მიერ მითითებული მინაწერია შესრულებული, პაგინირებული არ არის. როგორც ჩანს, ხელნაწერის ფურცლობრივი სათვალავის გაკეთებისას ეს ფურცელი გამორჩათ და ის პაგინაციის გარეშე დატოვეს. წინამდებარე ნაშრომში ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ფურცელი ოთხთავის 46rv-სა და 47rv-ს შორის არის ჩაკინძული და მას 461rv-დ მოვიხსენიებ.

ოთხთავის ციტირებული მინაწერის შესწავლა აჩვენებს, რომ რობერტ ბლეიკის მიერ ხელნაწერის გადაწერის ადგილისა და გადამწერის ვინაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები მართებული არ არის.

კვლევის შედეგად, პირველ ყოვლისა, დგინდება, რომ მინაწერი ოთხთავის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით არის შესრულებული და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, უფრო მოგვიანო პერიოდს - XIV-XV საუკუნეებს მიეკუთვნება. გარდა ამისა, კვლევის შედეგად დგინდება ისიც, რომ მინაწერი ჯვარის მამა, ანუ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარ იოვანეს სავედრებელს წარმოადგენს და მისი ტექსტი ხელნაწერის გადაწერის შესახებ რაიმე ინფორმაციას არ გვანვდის.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ოთხთავის გადაწერის ადგილსა და გადამწერის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხები, ჯერჯერობით, გადაუწყვეტელია და ისინი შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ოთხთავის 101r-ზე ხელნაწერის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით შესრულებულია ვრცელი მინაწერი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება. მინაწერი მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს გვანვდის წმიდა მიწის ქართული კოლონიისა და ოპიზის მონასტრის შესახებ. მინაწერის დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის მიუხედავად, ის აქამდე გამოცემული არ ყოფილა.

წინამდებარე ნაშრომში აკადემიური სახით ვაქვეყნებ მინაწერს და აქვე წარმოვადგენ მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შედეგებს.

თავდაპირველად მოვიტან მინაწერის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩემულ წაკითხვას.

მინაწერი შესრულებულია 101r-ზე; ოცდახუთი სტრიქონი; ნუსხური; I სტრიქონის პირველი სიტყვის (ესე) პირველი გრაფემა (ე) და XXV სტრიქონის პირველი სიტყვის (ოდეს) პირველი გრაფემა (ო) - ასომთავრულით; ქარაგმის ნიშნები: პატარა განივი კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან ორწერტილი ალაგ-ალაგ; ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი; I, II, III, IV, V და XXIII სტრიქონების რამდენიმე გრაფემა, ეტრატის დაჩვრეტის გამო, დაკარგულია; ეს გრაფემები, V სტრიქონის ოთხი გრაფემის გამოკლებით, კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი; XVIII სტრიქონის მეშვიდე და მერვე სიტყვები (და ი-სბისსა) დაწერილია ოდნავ მოგვიანებით, სტრიქონის ზედა ხაზში, მინაწერის დამწერისავე ხელით; XXIV და XXV სტრიქონები შესრულებულია, მინაწერის ძირითად ტექსტთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით (სურ. 1 და სურ. 2).

ბულების ნახევარი საფასურის გადახდის შემდეგ წიგნზე, იურიდიულად, ორმაგი მფლობელობა დაწესდა. ამერიიდან, ოთხთავი სანახევროდ პავლესა და ბასილს, ხოლო სანახევროდ, მიქაელს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ფრაგმენტიდან ვიგებთ იმასაც, რომ მიქაელის მიერ პავლესა და ბასილისათვის ხელნაწერის ნახევარი ფასის მიცემის შემდეგ ოთხთავი ფიზიკურად მიქაელთან ინახებოდა და წიგნს სიცოცხლის ბოლომდე ის იყენებდა. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი, შეწირულების სახით, ოპიზის მონასტრისათვის უნდა გადაეცათ, ოღონდ შეწირვის აქტი არამხოლოდ მიქაელის, არამედ ოთხთავის სამივე მეპატრონის სახელით უნდა მომხდარიყო.

მინაწერ საბუთში დადასტურებული ფაქტი, რომ ხელნაწერის პატრონმა არა მთლიანად წიგნი, არამედ წიგნზე იურიდიული უფლების მხოლოდ ნახევარი გაყიდა, უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს და XII საუკუნის საქართველოში სამართლებრივი აზროვნების შესწავლისათვის მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის.

მინაწერი საბუთის პირველი ფრაგმენტიდან არ ჩანს, თუ რა კავშირი ჰქონდათ პავლეს, ბასილსა და მიქაელ ხუცესს ოპიზის მონასტერთან და რატომ გადაწყვიტეს, რომ ოთხთავი მაინცადამაინც ამ სავანისათვის შეეწირათ.

საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ ისინი ან ხელნაწერის ყიდვა-გაყიდვის დროს, ან კიდევ, მათი ცხოვრების რომელიმე სხვა ეტაპზე, ოპიზის მონასტერში მოღვაწეობდნენ და ამიტომაც ამ სავანისადმი გამორჩეული სიყვარული ჰქონდათ.

მინაწერი საბუთის მომდევნო, მეორე ფრაგმენტი გადმოგვცემს, რომ ოთხთავის ახალი მფლობელი მიქაელ ხუცესი იერუსალიმში გაემგზავრა, წმიდა ადგილები მოილოცა და იქვე გარდაიცვალა:

“ხოლო ესე მიქაელ ხუცესი იჭიხსადემს მოიწია, [მოიღ]ოცნა გამანათლებელი ჩუენნი წმიდანი ადგილნი და აღსასხუდი მიიღო”.

მინაწერი საბუთის მეორე ფრაგმენტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მიქაელ ხუცესის გარდაცვალების ფაქტი. ამასთან, აქ მნიშვნელოვანია არამხოლოდ ის გარემოება, რომ მიქაელი უშუალოდ პილიგრიმობის დროს გარდაიცვალა, არამედ ისიც, რომ მიქაელის გარდაცვალების შემდეგ დღის წესრიგში დადგა იმ ქონების განკარგვის საკითხი, რომელიც მას წმიდა მინაზე მომლოცველობისას თან ჰქონდა წაღებული. ამ ქონებიდან მინაწერში მხოლოდ ოთხთავია დასახელებული, თუმცა საფიქრებელია, რომ მიქაელს იერუსალიმში სხვა ნივთებიც ჰქონდა წაღებული და მისი გარდაცვალების შემდეგ, იმ ნივთების ბედიც გადანყვეტას საჭიროებდა.

მინაწერი საბუთის მეორე ფრაგმენტში ყურადღებას იპყრობს ფრაზა “იჭრუსაღემს მოინია”. ამ ფრაზიდან ნათლად ჩანს, რომ მინაწერის დამწერი ტექსტის შესრულების დროს წმიდა მინაზე, უფრო ზუსტად კი, იერუსალიმში იმყოფებოდა.

მინაწერი საბუთის შემდეგ, მესამე ფრაგმენტში მინაწერის დამწერი, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს წარმოგვიდგენს. იგი, ერთი მხრივ, გვაუწყებს, რომ “წალკელი” იყო, ხოლო, მეორე მხრივ, გვამცნობს, რომ “მას ჟამს”, ანუ მიქაელ ხუცესის გარდაცვალების დროს “მოურავის” თანამდებობას ფლობდა. გარდა ამისა, მინაწერის დამწერი მოგვითხრობს, რომ მან “საკუთარ ღირს მამებთან”, ანუ მის სამოღვაწეო სავანეში მოსაგრე პატივდებულ მოწესებთან მოთათბირების შემდეგ, ოპიზის მონასტერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოწინებით ითხოვდა, რომ მიქაელ ხუცესის მიერ იერუსალიმში ჩატანილი ოთხთავი წმიდა მიწიდან არ წაეღოთ და ის იერუსალიმის ერთ-ერთი მცირე სავანის, სამწიროს სახელით ცნობილი მონასტრისათვის “ებოძებინათ”, ანუ შეეწირათ:

“ხოლო მე, უნდოდ და ფხიად ცოღვიდი წადკედი, მას ჟამსა მოუხავად ვიყავ და კითხვითა ღმერთისა საკუთახითა ღიხსთა მამათადთა, მიუწეხე წმიდასა მონასტეხსა ოპიზას, ვითაჲმედ, ენებოს თუ და ბეძანონ, ახა წაიღონ წმიდით ქადაქით, ახამედ ეხოსა უმციხესა მონასტეხსა უბოძონ, სახელითცა სამწიროსა”.

მინაწერი საბუთის დამწერის “წალკელის” ტიტულით მოხსენიება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი წალკელი ეპისკოპოსი იყო. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მინაწერის დამწერი ტექსტის შესრულების დროს იერუსალიმში იმყოფებოდა და ერთ-ერთ ადგილობრივ სავანეში მოურავის თანამდებობას ფლობდა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), მაშინ გამოდის, რომ მას იმხანად წალკელი ეპისკოპოსის კათედრა აღარ ეკავა, საქართველოდან წმიდა მინაზე იყო გადასული და იქ მოღვაწეობდა.

ის გარემოება, რომ მინაწერი საბუთის დამწერი წალკელი ეპისკოპოსის ტიტულს საეპისკოპოსო კათედრის დატოვების შემდეგაც ატარებდა, უცნაური და მოულოდნელი არ არის. შუა საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მაღალი საეკლესიო თანამდებობისა და შესაბამისი საეკლესიო წოდების მფლობელი პირები, ამ წოდებას თანამდებობიდან გადადგომის ან რომელიმე სხვა თანამდებობაზე გადასვლის შემდეგაც ინარჩუნებდნენ და წერილობით წყაროებში როგორც ახალი, ისე ძველი საეკლესიო წოდებით იხსენიებოდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-1745 წლებში შედგენილი თხზულების “აღწერა სამეფოსა საქართველოსას” ცნობით, წალკის საეპისკოპოსო ისტორიული თრიალეთის პროვინციის ტერიტორიას

მოიცავდა, წალკელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი კი მდინარე ქციას პირას გაშენებულ ქალაქ წალკაში მდებარეობდა:

“...ქციის კიდეზე ახს ეკდესია გუმბათიანი, წადკას დიდი, კეთილ-ნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თხიადეთისა” (ვახუშტი 1973, 319)¹.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნახსენები ქალაქი წალკა XIX საუკუნიდან გუნია-ყალას სახელს ატარებდა, ამჟამად კი ის წყალსაცავის ქვეშ არის მოქცეული. ისტორიულ ქალაქ წალკის ტერიტორიაზე ექვსი ეკლესიაა მიკვლეული, თუმცა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, ამათგან რომელი იყო წალკელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი (ნარიმანიშვილი, შანშაშვილი და კვაჭაძე 2018, 181-182).

დევი ბერძენიშვილის დაკვირვებით, წალკის საეპისკოპოსოსა და წალკელი ეპისკოპოსების მოხსენიება წერილობით წყაროებში საკმაოდ მოგვიანო პერიოდიდან გვხვდება (ბერძენიშვილი 2014, 87). კვლევა აჩვენებს, რომ წალკელი ეპისკოპოსის ტიტული პირველად XIII საუკუნეში შედგენილ ცნობილ სამართლის ძეგლში - “განგება დარბაზობისაში” დასტურდება:

“წესი და გ(ა)ნგებჲ <და> დახბჲობისა, ხ(ომედ)ი აღესხ(უ)დების მცხეთას, კ(უხთ)ხ(ე)ვასა მეფეთასა... ხ(ა)ჟ(ამ)ს იკ(უხთ)ხ(ო)ს მეფე და დ(ა)ჯდეს ტახტსა ზ(ე)და და ეფისკ(ო)პ(ო)სნი ამა წესითა და/სხდენ: ...შემოვიდეს წადკელი ¹,¹ და დაჯდეს გვიდელსა ქუემოთ. შემოვიდეს ბანელი და დ(ა)ჯდეს წად/კედსა ქუემოთ...” (Ad-560, 1rv).

რაც შეეხება წალკელის ტიტულის მატარებელ ეპისკოპოსს, ის, სახელის მითითებით, პირველად 1678 წლის დოკუმენტში - გიორგი სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში იხსენიება:

“მე, წად<ა>კედსა ქხის/გეფოხეს, დამიწეხია ესე წიგნი და მოწ{ა} მეცა ვაჰ” (Sd-63, 1v).

ჩვენთვის საინტერესო მინაწერი საბუთი დასახელებულ წერილობით წყაროებს, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, წინ უსწრებს. შესაბამისად, ირკვევა, რომ წალკელი ეპისკოპოსის ტიტულის და-

1 ვახუშტი ბაგრატიონის “აღწერა სამეფოსა საქართველოსას” ერთ-ერთი, 1813 წელს გადაწერილი ნუსხის (R) არშიაზე, დამატებით, მინერლია შემდეგი: “ეკლესია გუმბათიანი საეპისკოპოსო წალკას, რომელსაც ეწოდება წალკელი” (ვახუშტი 1973, 319).

დასტურებისა და ამ ტიტულის მატარებელი პირის მოხსენიების ყველაზე ადრეული ფაქტები უკვე XII საუკუნიდან მოგვეპოვება.

ცალკე განხილვის საგანია მინაწერი საბუთის დამწერის ცნობა, რომ იგი მიქაელ ხუცესის გარდაცვალების დროს “მოურავად” იყო, ანუ წმიდა მიწის ერთ-ერთი სავანის მოურავის თანამდებობას ფლობდა.

მინაწერი საბუთის ამ ცნობასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს სტეფანე დიაკონის მიერ ხანძრის მონასტერში გადაწერილი XII საუკუნის დეკემბრის თვეს (S-4999) ანდერძი, რომელშიც “სუეტის მოურავი” ანტონი იხსენიება:

“დაიწეხა ესე თუე დეკ(ე)ნბ(ე)ჩი უდაბნოსა ხაჩდთისასა, ჯ(ე) დითა სგ(ე)ფ(ა)ნე დ(ია)კ(ო)ნისაფთა, უდაბნოდსა | სუეცისათ(ჯ)ს, საფასოდთა მ(ა)თითა. ღ(მე)ხთმან შეუნდვ(ე)ნ, | ხადცა ვის ჭიხი უნახავს ამ(ა)ს წიგნსა ზ(ე)დ. | პ(ი)ხუეღ ყ(ოვე)დთასა, მოუხავსა სუეცისსა ანგ(ო)ნის | შეუნდვ(ე)ნ ღ(მე)ხთმან და ყ(ოვე)ნი ძმანი დაიცვენინ ქ(ჩი)სგემან | და უკ(უ)ეთუ იპოოს ხ(ა)დ სანდოდ ამას ჩ(უ)ენსა ნა|შჩომსა, ჩ(უ)ენთ(ჯ)სცა დ(ო)ცვა ყ(ა)ვთ, ღ(მ)ხთისათ(ჯ) ს და | უცბად ჩხეკისათ(ჯ)ს შემინდვეთ. გ(ი)ოხგის, ხუც|ესსა, შეუნდვენ ღ(მე)ხთმან, დიად შემწე გუეყო” (S-4999, 332v).

დღეისათვის დარეჯან კლდიაშვილის მიერ გარკვეულია, რომ დეკემბრის თვეს ანდერძში დასახელებული ტერმინი “მოურავი” ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებულ ტერმინებს - “აბრამადს”, “იკონომოსს”, “ეპიტროპოსს” შეესაბამება და მიუთითებს, რომ ანდერძში ნახსენები ანტონი “სუეტის” ანუ სვეტის მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალთაგანი იყო (კლდიაშვილი 2017, 173-174)¹.

ჩემი დაკვირვებით, ტერმინი “მოურავი” ოთხთავის მინაწერი საბუთის ტექსტში იკონომოსის მნიშვნელობით, ანუ იმ შინაარსობრივი დატვირთვით არის გამოყენებული, რა შინაარსობრივი დატვირთვითაც ის დეკემბრის თვეს ანდერძში გამოიყენება.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისაკენ, ოთხთავის მინაწერი საბუთსა და დეკემბრის თვეს ანდერძში დადასტურებული ტერმინების იდენტურობის გარდა, მინაწერი საბუთის დამწერის თანა-

¹ დღეისათვის მკვლევართა მიერ დეკემბრის თვეს ანდერძში დასახელებული “სუეტის უდაბნო” ისტორიულ კლარჯეთის პროვინციაში მდებარე სვეტის მონასტერთან არის გაიგივებული. ჩემი დაკვირვებით, ეს იდენტიფიკაცია სათანადო არგუმენტებით შემაგრებული არ არის და დეკემბრის თვეს ანდერძში დასახელებული “სუეტის უდაბნო” ასეთივე წარმატებით შეგვიძლია გავაიგივოთ იერუსალიმში მდებარე სვეტის მონასტერთან, რომელიც არაერთ წერილობით წყაროშია მოხსენიებული. წინამდებარე ნაშრომში ამ საინტერესო საკითხზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებ და მას დანვრილებით სხვა ნაშრომში შევისწავლი.

მდებობრივ უფლებამოსილებაზე დაკვირვებაც მიიბძვებას. მინაწერიდან ვიგებთ, რომ მიქაელ ხუცესის გარდაცვალების შემდეგ მის ქონებაზე ზრუნვის ვალდებულება მინაწერის დამწერს დაეკისრა, სამეცნიერო ლიტერატურიდან კი კარგად არის ცნობილი, რომ მონასტრების სამეურნეო და ქონებრივი ცხოვრების მართვა სწორედ იკონომოსთა მოვალეობას შეადგენდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ მინაწერი საბუთის დამწერს, რომელიც წარსულში წალკის ეპისკოპოსობას ფლობდა, მინაწერის შესრულების დროს წმიდა მიწის ერთ-ერთი ქართული მონასტრის მოურავის, ანუ იკონომოსის თანამდებობა ეკავა.

მინაწერი საბუთიდან პირდაპირ არ ჩანს, თუ რატომ დაეკისრა პილიგრიმობის დროს გარდაცვლილი მიქაელ ხუცესის ქონებაზე ზრუნვის ვალდებულება მაინცადამაინც მინაწერის დამწერს და არა წმიდა მიწის რომელიმე სხვა მონასტრის იკონომოსს.

ამ საინტერესო ფაქტს ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: 1. მიქაელ ხუცესი უშუალოდ მინაწერი საბუთის დამწერის სამოღვაწეო მონასტერსა თუ მასთან არსებულ საუძღურეში, იგივე სასნეულოში, გარდაიცვალა, გარდაცვლილის კუთვნილი ქონება, ფიზიკურად, ამ მონასტერსა თუ საუძღურეში დარჩა და შესაბამისად, მასზე ზრუნვა მოცემული მონასტრის სათანადო მოხელეს - მოურავს დაევალა და 2. მიქაელ ხუცესი სხვა მონასტერსა თუ საუძღურეში გარდაიცვალა და მისი კუთვნილი ქონებაც, ფიზიკურად, იქ დარჩა, თუმცა, გარდაცვლილი ქართველი პილიგრიმის მემკვიდრეობაზე ზრუნვის ვალდებულება წმიდა მიწის ყველაზე დიდი ქართული სავანის - ჯვრის მონასტრის კრებულმა იკისრა და საკითხის გადაწყვეტა შესაბამის მოხელეს - ჯვრის მონასტრის იკონომოსს დაავალა.

ზემოთ განხილული საკითხების შემდეგ აუცილებლად უნდა შევხებო იმ საკითხსაც, თუ რატომ გაუგზავნა მინაწერის დამწერმა წერილი ოპიზის მონასტერს და რატომ ითხოვა, რომ ოთხთავი სამწიროს მონასტრისათვის შეენიერთ.

ის, რომ მინაწერი საბუთის დამწერმა თხოვნის წერილი ოპიზის მონასტერს გაუგზავნა, ლოგიკური და გასაგებია. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ოთხთავის ძველ და ახალ მფლობელებს - ერთი მხრივ, პავლესა და ბასილს, ხოლო, მეორე მხრივ, მიქაელ ხუცესს შორის დადებული ნასყიდობის შეთანხმების თანახმად, მიქაელის გარდაცვალების შემდეგ ოთხთავი ოპიზის მონასტრის საკუთრება უნდა გამხდარიყო. შესაბამისად, წმიდა მიწაზე ჩასული მიქაელის გარდაცვალების მომენტიდან, ხელნაწერის მეპატრონე, იურიდიულად, უკვე ოპიზის მონასტერი იყო და ამიტომაც მინაწერის დამწერმა ოთხთავთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად წერილით სწორედ ხელნაწერის კანონიერ მფლობელს - ოპიზის მონასტრის კრებულს მიმართა.

სამაგიეროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალა არ მაძლევს საშუ-

ალებას ავხსნა, თუ რატომ სთხოვა მინანერი საბუთის დამწერმა ოპიზელ მოწესებებს, რომ ოთხთავი მაინცადამაინც სამწიროს მონასტრისათვის შეენირათ. შემძლია, მხოლოდ ვივარაუდო, რომ მინანერის დამწერს სამწიროს მონასტრისადმი, რაიმე მიზეზის გამო, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა.

მინანერი საბუთის მესამე ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამწიროს მცირე მონასტრის მოხსენიების ფაქტი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ სამწირო დედათა მონასტერს წარმოადგენდა. შესაბამისად, ირკვევა, რომ მინანერში დასახელებულია იერუსალიმის ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ქართული სავანე - სამწიროს მცირე დედათა მონასტერი, რომელიც მინანერის შესრულების დროს, ანუ XII საუკუნეში ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

მინანერ საბუთში მოხსენიებული სამწიროს მონასტერი დასახელებული უნდა იყოს წმიდა მინის ქართული კოლონიის კუთვნილი ერთ-ერთი ხელნაწერის, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 27-ე ნომრით დაცული კრებულის (Jer.Geo.27) განმაახლებლის მინანერში, რომელიც ხელნაწერის 348r-ზეა შესრულებული:

“სამწიროს შეწიხ(უ)ღია ესე წიგნი და ვინცა გამოაქ[უ]ას, | წ(-მიღ)ათა მ(ო)ც(ი)ქ(უ)ღათა კანონსამცა ქუჭზე ახს ს(უ)ღი მისი, ა(მე)ნ. | სახედითა ღ(მხითისა)ათა, ესე წიგნი და მ(ა)ხხვ(ა)ნი მე, ვ(ა)ხდ(ა)ნის (?) დედამ(ა)ნ, | ბეხმ(ა)ნ ანა, შევაკაზმიენ და შევმოსე ახდად ღია და|ფუშვი(ი)ღი, ჩ(ე)მისა ს(უ)ღისათ(ვ)ს და შენდ(ო)ბასა ჰყ(ო)ფდით, მკ(ი)თხვ(ე)ღნო, | წ(მიღ)ანო მ(ა)მ(ა)ნო. ანას და მისთა მშ(ო)ბ(ე)ღათა და გამზხდ(ე)ღათა შ(ეუნდვე)ნ ღ(მეხთმან” (გექსტის გამაჩთვა, ქაჩავმების გახსნა და პუნქტუაცია ჩემია - თ. ჯ.) (მაჩი 1955, 52. შგჰ.: Blake 1923, 407)1.

1 სამწიროს, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას კრებულის დიგიტალური ვერსია ხელთ არ მქონდა, რის გამოც, ხელნაწერისა და მისი ანდერძ-მინანერების კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლა ვერ შევძელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კრებულის გადაწერის დროსა და ადგილთან, გადამწერისა და მომგებლის ვინაობასთან, აგრეთვე, ხელნაწერის შემდგომ თავგადასავალთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისაგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ საეჭვოდ მეჩვენება სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კრებული XVI-XVII საუკუნეებშია გადაწერილი (Blake 1923, 407; მარი 1955, 51-52; კარანაძე 2002, 42, 44; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ 2018, 127. შდრ.: Царепели 1888, 181). გარდა ამისა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ზემოთ ციტირებული მინანერის პირველი წინადადება და მისი მომდევნო ფრაგმენტები ნამდვილად თანადროულ ტექსტებს წარმოადგენს, როგორც ეს ნიკო მარს მიაჩნდა (მარი 1955, 52. შდრ.: Blake 1923, 407). ვფიქრობ, ხელნაწერისა და მისი ანდერძ-მინანერების საფუძვლიანი შესწავლა კრებულთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს საბოლოოდ გადაწყვეტს.

როგორც ვხედავთ, მინაწერი შესრულებულია “ბერი”, ანუ მხცოვანი ქალი ანას სახელით, რომელიც ტექსტში ვარდანის (?) დედად არის მოხსენიებული. ანა მოგვითხრობს, რომ მან “შეაკაზმვინა და შეამოსინა”, ანუ განაახლებინა და ყდაში ჩაასმევინა ორი ხელნაწერი წიგნი - მინაწერის შემცველი კრებული და მარხვანი, რომლებიც ძლიერ დაზიანებული იყო (კარანაძე 2002, 42).

ანა მინაწერის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “ესე წიგნი”, ანუ კრებული “სამწიროს შეწირული” იყო, ანუ სამწიროს მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. მინაწერიდან მთლად ნათლად არ ჩანს, კრებული განახლებამდეც სამწიროს მონასტრის კუთვნილება იყო, თუ ის ამ სავანეს ანამ შესწირა. ცხადია მხოლოდ ის, რომ მინაწერის შესრულების დროს კრებული და შესაძლოა, მასთან ერთად, ანას მიერ განახლებული მარხვანიც, სამწიროს მონასტრის მფლობელობაში იყო¹.

ჩემი ვარაუდით, ოთხთავის მინაწერ საბუთში მოხსენიებული სამწიროს მონასტერი დასახელებული უნდა იყოს წმიდა მიწის ქართული კოლონიის კუთვნილი კიდეც ერთი ხელნაწერის, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 63-ე ნომრით დაცული 1167 წლის პარაკლიტონის (Jer.Geo.63) მომგებლის ვრცელ ანდერძში, რომელიც წიგნის 160v-სა და 161r-ზეა შესრულებული:

“ს(ა)ხედითა ახსება დაუბადებ(ე)რისა, სამგუამოვნისა, ეხთლ(მ)თეებისა, | ბ(უ)ნ(ე)ბით მიუწმომედისა და გ(ა)მოუ(თ)ქმ(ე)რისა და ყ(ოველ)თა ახსთა ახაჩადსა/გ(ან) ახსებად მომყვანებ(ე)რისა, ს(ა)მებისა წ(მიდ)ისაათა და მ(ეო)ხებითა ყ(ოვდა)დწ(მიდ)ისა და | უბიწოდას, უხიწნ(ე)რისა დ(ე)დ(ო)ფრისა ჩ(უე)ნისა ლ(მით)ის-მშ(ო)ბ(ე)რისაათა, ძ(ა)რითა და | შეწევნითა წ(მიდ)ისა და ცხ(ო)ვ(ე)რსმყ(ო)ფ(ე)რისათა და ყ(ოვდა)დ პ(ა)ტ(იო)სნისა ჯ(უა)ჩისა)ათა, წყადრო160v||161rბითა და შეწევნითა ყ(ოველ)თა წ(მიდა)თა უსხეუროთა მთ(ა)ვ(ა)ჩანგ(ე)დ(ო)ზთა | და სეხ(ა)ბინ-ქეხაბინთათა და ყ(ველ)თა ზ(ე)ცისა ძ(ა)რთათა და მ(ა)დრითა და მ(ეო)ხებითა | წ(მიდ)ისა წინამოხბედისა ი(ოვ)ანე ნ(ა)თრისმცემ(ე)რისაათა, მ(ეო)ხებითა ყ(ოვდა)დ ქებ(უ)რთა წ(მიდა)თა | მ(ო)ციქ(უ)რთათა, წ(ინა)წ(ა)ჩმე)ცყ(უე)რთა, მღდ(ე)დთმ(ო)დლ(უ)აჩთა, მ(ო)წ(ა)მეთა და ყ(ოველ)თა

1 ლევან მენაბდის ვარაუდით, კრებულის მინაწერში დასახელებულ “სამწიროში” იერუსალიმის კაპპათას დედათა ქართული მონასტერი უნდა იყოს ნაგულისხმევი (მენაბდე 1980, 146). თავად ეს ვარაუდი დამყარებულია კორნელი კეკელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ კაპპათას მონასტერი იერუსალიმში, სიონის მთაზე მდებარე სოფიანწმიდის ბაზილიკასთან არსებული ძველი “სამწიროს”, ანუ სასტუმრო სახლის ქვებით იყო აგებული (ამის შესახებ იხ.: ქვემოთ). ლევან მენაბდის მიერ გამოთქმული ვარაუდი ზოგიერთ მკვლევარს მისაღებად მიაჩნია (მამაცაშვილი 2007, 450).

ლიხსთა მ(ა)მათაფთა, | ხ(ომედ)ნი ს(აუ)კ(უ)ნითგ(ა)ნ სათნო ეყვნეს
ო(ვფად)სა ჩ(უე)ნსა ი(ეს)კ ქ(ჩის)გესა. ლიხს ვიქმენ მე, ყ(ოვდა)დ
ულიხსი | ონოფხე, მოგებად წ(მიდა)თა ამ(ა)თ პაჩ(ა)კლიგონთა,
ჩვათავე ვმათა სხ(უ)ღთა, | ოჩ წიგნად. პ(იხუე)ღი თვთ ჩ(ე)მითა
წ(ე)ღითა დაწწეხე და მეოხე ს(ა)ნ(ა)გ(ე)ღთა მ(ა)მათა - | კ(ვ)ჩი-
კეს მ(იე)ჩ, პ(ა)გ(იო)სნისა მღ(უ)ღღისა და მ(ა)ჩკ(ო)ზ, ცონცოჩიკაღს
ასუღის წუღისა | წ(ე)ღითა. ლ(მეხთმა)ნ აკ(უ)ხთხნეს და შევსწიხე
იჭ(იუსა)ღ(ე)მს, პ(ა)გ(იო)ს(ა)ნთა ეღდათა მ(ო)ნ(ა)სგეჩსა ახადსა,
| ხ(ომედ)ი იცვ(ა)ღეს პიგადთაგ(ა)ნ ძუჭღისა სამწიხოღსა მ(იე)ჩ.
ენებოს ქ(ჩის)გესა, | ხ(ომედ) მგკიცე და უქცევეღი იყო. აწ, ვევე-
ღე(ე)ბი ყ(ოვედ)თა, ხ(ომედ)ნი შ(ე)მღგ(ო)მითი [ქ(ამ)]თა (?) მკვდ-
ხ(ო)ბღეთ წ(მიდა)სა ამ(ა)ს მ(ო)ნ(ა)სგ(ე)ჩსა შ(ინ)ა ხ(აფთ)ა მომიწ-
სენებღეთ წ(მიდა)თა შ(ინ)ა რ{ო}ცვათა | თქ{უე}ნთა დაუვიწყებღ(ა)
ღ, ხ(აფთ)ა ლ(მეხთმა)ნ მოგაგოს ს(ა)სყიდ(ე)ღი წს(ე)ნ(ე)ბისა|თ(ვ)ს
ჩ(ე)მისა | და ვინ გ(ა)მოაწუას წ(მიდა)სა ამ(ა)ს მ(ო)ნ(ა)სგ(ე)ჩსა
წ(მიდა)ნი ესე პ(ა)ჩ(ა)კლიგ(ო)ნნი, ხადსაცა | მიზებისა მოლებითა,
გ(ა)მო-მცა-წუჭბ(უ)ღ აჩს იგიცა წესისაგ(ა)ნ ქ(ჩის)გ(ე)ა[ნ(ე)თ(ა)სა] |
და ნაწიღმცა აჩს მისი იუღას თ(ან)ა, ისკაჩიოგედსა. ოღეს დაიწეჩა,
ქიონიკონი იყო გპზ (387 + 780 = 1167 წ.), დასაბამითგ(ა)ნ წედთა
ხქოე (6675 - 5509/5508 = 1166/1167 წ.), ბეჩდ(უ)ღითა სათ(უ)აღ(ა)ვითა,
ხ(ოღო) ქაჩთუღითა - ხლობ (6772 - 5604 = 1168 წ.), | ჯ(უ)აჩცმითგ(ა)
ნ - ჩხოე (1175 + 30/33/34 = 1205/1208/1209 წ.), ინდიკიონი იე (78-ე
ციკღის (დასაწყ. 1153 წ.) მე-15 ინდიქიონი = 1167 წ.)” (Image 163 of
Georgian 63. Parakletike. 1167 A.D. 161 f. Pg. 24 ft., Library of Congress)1.

ციტირებული ანდერძი მოგვითხრობს, რომ 1167 წელს ვინმე ონოფრეს დაკვეთით გადაიწერა პარაკლიტონი, რომელიც ორი წიგნისაგან შედგებოდა. ამათგან, პირველი წიგნი თავად ონოფრემ გადაწერა, ხოლო მეორე წიგნი, ანუ ანდერძის შემცველი ხელნაწერი კვირიკე მღვდელმა და ცონცორიკაის ასულის ვაჟმა მარკოზმა გადაწერეს2. ონოფრემ ახლად გადაწერილი წიგნები შესწირა “ახალ”,

1 ანდერძის ქვემოთ, ორი სტრიქონის გამოტოვებით, იმავე ხელით შესრულებულია კიდევ ერთი მინაწერი: “დედაკ(ა)ცმ(ა)ნ ვინმე მწირმ(ა)ნ ათი ქარტეზი შეაწია წიგნსა ამ(ა)ს. ლ(მერთმა)ნ | შეუნდვენ. ლ(ო)ცვა ყ(ა)ვთ მისთ(ვ)ს” (Image 163 of Georgian 63. Parakletike. 1167 A.D. 161 f. Pg. 24 ft., Library of Congress). ის ფაქტი, რომ დედათა მონასტრისათვის განკუთვნილი პარაკლიტონის გადაწერას ვინმე “დედაკაცი” “ათი ქარტეზით”, ანუ 10 ეტრატის ფურცლით შეეწია, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ამ ანონიმ შემომწირველ ქალს ანდერძში დასახელებული დედათა მონასტრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მის მიმართ მატერიალურ მზრუნველობასაც ამიტომ იჩენდა.

2 იმ ფაქტს, რომ ანდერძში დასახელებული პარაკლიტონის მეორე წიგნი სწორედ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ #63 ქართულ ხელნაწერს წარმოადგენს, ადასტურებს ამ უკანასკნელის 160v-ზე ძირითადი ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერი,

ანუ ახლად დაარსებულ დედათა მონასტერს, რომელიც “ძუჭლი სამწიროფს პიტალთაგან”, ანუ პილიგრიმთა და მოგზაურთათვის განკუთვნილი სასტუმრო სახლის ქვებით, ამ დაძველებულ-დანგრეული შენობის “ნაცვლად”, მის ადგილას იყო აგებული¹.

თუ ჩემი ვარაუდი სწორია და ერთი მხრივ, ოთხთავის მინაწერ საბუთსა და კრებულის ანდერძში მოხსენიებული იერუსალიმის სამწიროფს დედათა მონასტერი, ხოლო მეორე მხრივ, პარაკლიტონის ანდერძში დასახელებული იერუსალიმის სამწიროფს სახლის ქვებით აგებული დედათა მონასტერი, ნამდვილად ერთი და იგივე სავანე იყო, მაშინ შეგვიძლია არგუმენტირებულად გადავწყვიტოთ სამწიროფს მონასტრის სახელწოდებასა და დაარსების დროსთან დაკავშირებული საკითხები.

პარაკლიტონის ანდერძიდან ვიგებთ, რომ სამწიროფს მონასტერი ძველი “სამწიროფს”, ანუ სასტუმრო სახლის ქვებით, მისსავე ადგილას იყო აგებული. აქედან, ირკვევა, რომ მონასტრის სახელწოდება “სამწიროფს” იმ ძველი, დანგრეული სასტუმრო სახლის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი, რომლის ქვებით და რომლის ადგილასაც ის ააშენეს.

რაც შეეხება სამწიროფს მონასტრის დაარსების დროს. პარაკლი-

რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს ხელნაწერი კვირიკემ და მარკოზმა გადანერეს: “ო(ვფალ)ო ღ(მერთ)ო, შეუნდვენ ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლსა მჩხრეკალსა ამის|სა კ(ვრი)კეს და მ(ა)რკოზს” (Image 163 of Georgian 63. Parakletike. 1167 A.D. 161 f. Pg. 24 ft., Library of Congress).

1 პარაკლიტონის ანდერძში დასახელებული სავანის - “ძუჭლი სამწიროფს პიტალთაგან” აგებული იერუსალიმის დედათა ქართული მონასტრის იდენტიფიკაციის შესახებ აქამდე სამი განსხვავებული მოსაზრება იყო გამოთქმული: 1. ალექსანდრე ცაგარლის დაკვირვებით, პარაკლიტონის ანდერძში ნახსენებია იერუსალიმში მდებარე დედათა ქართული მონასტერი, რომელიც 1162-1175 წლებში, სავარაუდოდ, ქართული სასტუმრო სახლის გადაკეთების გზით ან მისი მასალის გამოყენებით იყო აგებული (Цагарели 1888, 125, 170); 2. კორნელი კეკელიძის აზრით, პარაკლიტონის ანდერძში დასახელებული “ძუჭლი სამწიროფს” იმ “სამწიროფს”, ანუ სასტუმროს, მოგზაურებისა და პილიგრიმებისათვის განკუთვნილ სახლს გულისხმობს, რომელიც VI საუკუნეში მოღვაწე ანტონინე მარტივირის ცნობით, იერუსალიმში, სიონის მთაზე მდებარე სოფიანმდის ბაზილიკასთან არსებულ კაპპათას ძველ მონასტერში მოქმედებდა. მკვლევრის თანახმად, ერთი მხრივ, ანდერძში ნახსენები “ძუჭლი სამწიროფს პიტალთაგან”, ანუ ძველი სასტუმროს ქვებით აშენებული მონასტერი, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ცოლისა და ასულის, დედოფლების - ბორენასა და მართას მიერ 1070-იან წლებში კაპპათას ძველი, დანგრეული მონასტრის ადგილას აგებული კაპპათას დედათა ქართული მონასტერი, ერთი და იგივე სავანე იყო (კეკელიძე 1942, 111-113) და 3. გოჩა ჯაფარიძის დაკვირვებით, კორნელი კეკელიძის მიერ პარაკლიტონის ანდერძში ნახსენებ დედათა ქართული მონასტრისა და კაპპათას მონასტრის იგივეობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება დასაბუთებული არ არის. მკვლევრის მიხედვით, ანდერძში დასახელებულია მონასტერი, რომელსაც სახელად “ახალი” (არაბულად - “დაირა ალ-ჯადიდ”) ეწოდებოდა და რომელიც, 1189 წელს ეგვიპტის სულთნმა, სალაჰ ად-დინმა სუფიების ახლად შექმნილ ხანაკას, იერუსალიმის პატრიარქთა უბანში მდებარე სხვა ნაგებობებთან ერთად, გადასცა (ჯაფარიძე 2018, 96-98).

ტონის ანდერძში ონოფრე სამწიროს “ახალ”, ანუ ახლად დაარსებულ მონასტერს უწოდებს და მას “მტკიცე და უქცეველ” ყოფას უსურვებს. აქედან, გამოდის, რომ სამწიროს მონასტერი 1167 წლის პარაკლიტონის გადანერის წინარე ახლო ხანებში, ანუ დაახლოებით, 1140-1160-იან წლებში იყო დაარსებული.

მინაწერი საბუთის შემდეგი, მეოთხე ფრაგმენტი გადმოგვცემს, რომ ოპიზის მონასტრის მოწესებმა მინაწერის დამწერის თხოვნა განიხილეს, მათი ღრთისმოყვარეობის შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღეს და ოთხთავი სამწიროს მონასტერს შესწირეს. ამასთან, თავად შეწირულების აქტი განხორციელდა როგორც ხელნაწერის იმჟამინდელი მეპატრონეების - ოპიზის მონასტრის მამების, ისე წიგნის ძველი მფლობელების - ბასილის, პავლესა და მიქაელ ხუცესის, აგრეთვე, ვინმე იოსების სახელით, მათი სულების სალოცველად და სადიდებლად:

“ხოლო მათ ვითაჲცა შეჰგვანდა მათსა ღმერთისმოყუაჲებასა, ეგჲე ქმნეს და უბოძეს საუკუნოდ საღოცავად და სადიდებელად მის წმიდისა მონასტრისა და კუადად წმიდისა მამისა ბასილის, პავლეს და მიქაელ ხუცესისა და იოსებისსა”.

მინაწერი საბუთის მომდევნო, მეოთხე ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოთხთავის სამწიროს მონასტრისათვის შემწირველთა გვერდით დასახელებული იოსები, რომლის სახელი მინაწერის დამწერმა მინაწერისავე თავდაპირველ ტექსტში ოდნავ მოგვიანებით ჩაამატა და რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხელნაწერის მფლობელი ან თანამეპატრონე არასოდეს ყოფილა.

ვინ არის იოსები და რა სახით უკავშირდება იგი ოთხთავის სამწიროს მონასტრისათვის შეწირვის აქტს?

ჩემი დაკვირვებით, იოსები მინაწერი საბუთის დამწერი და შესაბამისად, ოთხთავის სამწიროს მონასტრისათვის შეწირვის ინიციატორი უნდა იყოს. სხვა პირი, რომელიც ოთხთავის სამწიროს მონასტრისათვის შეწირვას უკავშირდება, ცნობილი არ არის. ასე რომ, აქ რაიმე სხვა ვარიანტის დაშვება შეუძლებელია.

მაშასადამე, ირკვევა, რომ მინაწერი საბუთის დამწერს, ყოფილ წალკელ ეპისკოპოსს, სახელად იოსები ერქვა და მინაწერშიც, ოთხთავის ძველი და ახალი მფლობელების გვერდით, სწორედ ის არის მოხსენიებული.

აქვე, აუცილებლად უნდა შევხებო მინაწერ საბუთში იოსების სახელის მოგვიანებით ჩამატების საკითხს. როგორც ჩანს, მინაწერის დამწერმა ტექსტში თავდაპირველად მხოლოდ ის სუბიექტები დაასახელა, რომლებიც ოთხთავის მფლობელები იყვნენ და რომელთა სახელითაც, ხელნაწერის სამწიროს მონასტრისათვის შეწირვის

აქტი განხორციელდა. მოგვიანებით, სავარაუდოდ, ხელნაწერის სამწიგნოს მონასტერში მოხვედრის შემდეგ, ამ სავანეში მოღვაწე დედეებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ოთხთავის მათი მონასტრისათვის შეწირვა უშუალოდ მინაწერის დამწერის ინიციატივით მოხდა, ამ უკანასკნელის ღვაწლი ხელნაწერის შემწირველთა ღვაწლის ტოლფარდ ქმედებად მიიჩნიეს და სთხოვეს მას, რომ თავისი სახელი მინაწერის ტექსტში შემწირველთა სახელების გვერდით ჩაენერა. ვფიქრობ, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო მინაწერის ტექსტში მისი დამწერის სახელის ჩამატება.

მინაწერი საბუთის მომდევნო, მეხუთე ფრაგმენტში იოსებ წალკელი მიმართავს შემდგომი დროის მონესეებს, კონკრეტულად კი, “ჯვარინშიდაში” მოღვაწე მამებსა და სამწიგნოს მონასტერში მოსაგრე დედეებს და სთხოვს, რომ ოთხთავის შემწირველები სამუდამოდ მოიხსენიონ ლოცვებში. გარდა ამისა, მინაწერის დამწერი წყევლის იმ პირებს, რომლებიც ოთხთავს, ამა თუ იმ მიზეზით, სამწიგნოს წაართმევენ და პირიქით, ლოცავს იმ პირებს, რომლებიც ხელნაწერის სამწიგნოს საკუთრებაში დარჩენისათვის იზრუნებენ:

“აწ, გვედგებით ყოვედთა შემდგომითი შემდგომად მომავადთა მამათა ჯუახიწმიდისა და ამის მონასტრისა დათა, ხადთა საღოცავი და საწსენებერი მათი საუკუნოდ იპყხათ და ვინ ხადთაცა მიზეზითა შეცვადოს და გამოაწუას, ღმეხთსა მან გასცეს პასუხი და წყევის[ა]მცა ქუეშე ახს და ვინ შეიკხადოს, ღმეხთმან აკუხთხენ, ამენ”.

მინაწერი საბუთის მეხუთე ფრაგმენტში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს XIX სტრიქონის ბოლო ოთხი, დაქარაგმებული სიტყვა “მომ-ვლთა მ-მთა ჯ-ი ნ-”, რომლებიც შემდეგი სახით წაკითხე:

“მომ(ა)ვ(ა)დთა მ(ა)მ(ა)თა ჯ(უახ)იწ(მიდისა)”.

თუ მინაწერი საბუთის ამ ოთხი სიტყვის ჩემი წაკითხვა სწორია, მაშინ გამოდის, რომ მინაწერში დადასტურებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სახელწოდების ახალი ფორმა - ჯვარინშიდა, რომელიც წერილობით წყაროებში აქამდე დაფიქსირებული არ ყოფილა.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკლესიისა თუ მონასტრის სახელწოდება მისი ზეციური პატრონის სახელიდან არის ნაწარმოები. მაგალითისათვის, შემიძლია დავასახელო ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძ-

რის, ნიკორწმინდის მონასტრისა, ანდრიაწმინდის ეკლესიისა და სხვათა სახელწოდებები, რომლებიც მათი ზეციური პატრონების - წმ. ნინოს, წმ. ნიკოლოზის, წმიდა ანდრიასა და სხვათა სახელებიდან არის წარმომდგარი: წმიდა ნინო > ნინოწმიდა, წმიდა ნიკოლოზს > ნიკოლოზწმიდა // ნიკოლწმიდა // ნიკორწმიდა, წმიდა ანდრია > ანდრიაწმიდა და ა.შ.

როგორც ჩანს, ზუსტად ანალოგიური პრინციპით არის ნაწარმოები ოთხთავის მინაწერ საბუთში დადასტურებული სახელწოდება - ჯვარიწმიდა. ეს მონასტერი წმიდა ჯვრის სახელობაზე იყო დაარსებული და შესაბამისად, მინაწერ საბუთში დადასტურებული მისი სახელწოდებაც სწორედ წმიდა ჯვრის სახელიდანაა წარმომდგარი: წმიდა ჯვარი > ჯვარიწმიდა.

მინაწერ საბუთში ჯვარიწმიდის გვერდით, დასახელებულია კიდევ ერთი მონასტერი, რომელიც როგორც ტექსტიდან ჩანს, “დათა” სამოღვაწეო სავანე, ანუ დედათა მონასტერი ყოფილა.

მართალია, მინაწერი საბუთის განსახილველ ფრაგმენტში ამ მონასტრის სახელწოდება პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ აქ სამწიროს მცირე მონასტერი იგულისხმება.

ამაზე ცალსახად მიუთითებს მინაწერი საბუთის ფრაზა “ამის მონასტრისა”, საიდანაც ვიგებთ, რომ იოსებ ნალკელი აქ გულისხმობდა იმ კონკრეტულ მონასტერს, რომელსაც მინაწერის შესრულების დროს ოთხთავი ეკუთვნოდა. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ მიქაელ ხუცესის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი ოპიზის მონასტრის საკუთრება გახდა, ოპიზელმა მამებმა კი ის, მინაწერის დამწერის თხოვნით, სამწიროს მონასტერს შესწირეს. თავად მინაწერი იმ დროს არის შესრულებული, როდესაც ოთხთავი უკვე სამწიროს მონასტრის საკუთრებაში იყო. შესაბამისად, მინაწერში დასახელებული ის დედათა მონასტერი, რომელიც მინაწერის შესრულების დროს ხელნაწერს ფლობდა, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სამწიროს მონასტერი.

რატომ მიმართავს იოსებ ნალკელი ოთხთავის შემომწირველთათვის ლოცვების აღვლენისა და მათი ღვაწლის უკვდავყოფის თხოვნით არამხოლოდ შეწირულების მიმღებებს - სამწიროს მონასტრის დედეებს, არამედ, დამატებით, ჯვრის მონასტერში მოსაგრე მამებსაც?

სამწუხაროდ, ამ საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა, ჯერჯერობით, არ შემიძლია. ვვარაუდობ მხოლოდ იმას, რომ იერუსალიმის ამ ორ ქართულ სავანეს - ჯვრის მამათა და სამწიროს დედათა მონასტრებს შორის რაიმე ტიპის ორგანიზაციული კავშირი არსებობდა და ამ ერთობის გათვალისწინებით, სამწიროს მონასტრისათვის შეწირულების მიმცემი სუბიექტები, ავტომატურად, ჯვრის მონასტრის შემომწირველებადაც მიიჩნეოდნენ.

მინაწერი საბუთის უკანასკნელ, მეექვსე ფრაგმენტში იოსებ წალკელი ოთხთავის ყველა მნახველს სთხოვს, რომ მისი მინაწერის წაკითხვის შემდეგ მიქაელ ხუცესი ლოცვებში მოიხსენიონ და ამ უკანასკნელის ღვანლი თუ სახელი არ დაივიწყონ:

“ოღეს წაიკითხვიდეთ, მიქაელ ხუცესსა დაჰლოცვიდით და ნუ დაივიწყებთ”.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ სამწიროს მონასტერს ოთხთავი, იურიდიულად, პავლემ, ბასილმა, მიქაელ ხუცესმა და ოპიზის მონასტრის მამებმა შესწირეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა, რომ ამ შემომწირველთაგან იოსებ წალკელმა მინაწერი საბუთის ბოლო ფრაგმენტში მხოლოდ ერთი პირი - მიქაელი მოიხსენია და ხელნაწერის მნახველებსაც მისი დალოცვა სთხოვა.

როგორც ჩანს, იოსებ წალკელი ოთხთავის მთავარ შემომწირველად მაინც მიქაელ ხუცესს მიიჩნევდა და მინაწერის მომავალ მკითხველებსაც სახელდობრ მიქაელის მოხსენიებისათვის სწორედ ამიტომ ევედრებოდა.

მინაწერი საბუთის შესწავლის ბოლოს აუცილებლად უნდა შევხებო მისი დათარიღების საკითხს. მინაწერიდან ვიგებთ, რომ მისი შესრულების დროს სამწიროს მონასტერი მოქმედი სავანე იყო. თავად სამწიროს მონასტერი, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, 1140-1160-იან წლებში უნდა ყოფილიყო დაარსებული. აქედან, გამოდის, რომ მინაწერის შესრულების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1140-1160-იანი წლები წარმოადგენს. რაც შეეხება მინაწერის შესრულების ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას, ის 1187 წელს ეგვიპტის აიუბიანი სულთნის სალაჰ ად-დინის (1171-1193 წწ.) მიერ იერუსალიმის აღება და ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების უმეტესი ნაწილის მოშლა-გაუქმებით უნდა განისაზღვროს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ მინაწერი საბუთი 1140-1180-იანი წლებით თარიღდება და მასში გადმოცემული ამბებიც, რომლებიც ზემოთ დანვრილებით განვიხილეთ, იმავე პერიოდს მიეკუთვნება.

დამონებაანი

ბერძენიშვილი, დევი. 2014. წალკის ზეგნის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წგნ.: დევი ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი: შპს. “სეზანი”.

გაბიძაშვილი, ენრიკო. 2009. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 4. ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები. თბი-

ლისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

ვახუშტი ბატონიშვილი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”.

კარანაძე, მაია. 2002. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

კეკელიძე, კორნელი. 1942. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში. კრებ.: აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის მოამბე. XIII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კლდიაშვილი, დარეჯან. 2017. სვეტის უდაბნოს სულთა მათიანე. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. 25. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Ad ფონდი. დოკუმენტი #560.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Sd ფონდი. დოკუმენტი #63.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ხელნაწერი წიგნების S ფონდი. ხელნაწერი #4999.

მამაცაშვილი, მაია. 2007. იოანე. წგნ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელი: ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

მარი, ნიკო. 1955. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ელენე მეტრეველმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მენაბდე, ლევან. 1980. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნარიშკინიშვილი, გოდერძი. შანშაშვილი, ნინო. კვაჭაძე, მარინე. 2018. თრი-ალეთი. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, უძველესი წყაროები და კვლევის პერსპექტივები. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ. 2018. შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ. ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის].

არის].

ჯაფარიძე, გოჩა. 2018. ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით). თბილისი: გამომცემლობა “მერიდიანი”.

Цагарели, Александр. 1888. Памятники Грузинской Старины в Святой Земле и на Синае. В сб.: Православный Палестинский Сборник. Том IV. Выпуск первый. Санкт-Петербург: Типография В. Киршбаума.

Blake, Robert P. 1923. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem. In: Revue de l'Orient Chrétien. Troisième série. Tome III (XXIII). Paris: Typographie Firmin-Didot et C.

Blake, Robert P. 1925. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem. In: Revue de l'Orient Chrétien. Troisième série. Tome V (XXV). Paris: Typographie Firmin-Didot et C.

Image 53 of Georgian 153. Four Gospels.12th cent. 146 f. Pg. 17 ft., Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271073446-jo/?sp=53&r=0.05,0.101,0.637,0.275,0.10.X.2021>.

Image 109 of Georgian 153. Four Gospels.12th cent. 146 f. Pg. 17 ft., Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271073446-jo/?sp=109&r=-0.098,0.041,1.415,0.61,0.10.X.2021>.

Image 163 of Georgian 63. Parakletike. 1167 A.D. 161 f. Pg. 24 ft., Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.0027107279A-jo/?sp=163&r=-0.086,0.021,1.377,0.593,0.10.X.2021>.

TEMO JOJUA

Ilia State University,
Georgia
temojjua2008@gmail.com

THE GOSPELS PRESENTED TO SAMTSIRO GEORGIAN MONASTERY OF NUNS IN JERUSALEM (JER.GEO.153) AND THE INSCRIPTION MADE BY THE JVARI MONASTERY MOURAVI IOSEB TSALKELI WITH THE MENTION OF THE PRESENTERS OF THE GOSPELS – PAVLE, BASIL, PRIEST MIKAEL AND THE MONASTERY OF OPIZA (1180-1140)

The paper is the first attempt to publish and analyze the written document appended to the XI-XII centuries' Gospels (Jer.Geo.153) 101r, written by Ioseb, former Bishop of Tsalka, Mouravi (administrative officer) of the Jvari Monastery in Jerusalem. According to the document, initially the Gospels belonged to Pavle and Basil. They sold the manuscript to Priest Mikael, but charged only half price, on condition that, after Mikael's death, on behalf of all the three co-owners (Pavle, Basil and Mikael), the book was to be presented to the Monastery of Opiza. Later, Mikael travelled to the Holy Land and died during his pilgrimage. Ioseb of Tsalka, who served as Mouravi at the monastery at that time, sent a letter to Opiza monastery and asked them to sacrifice the Gospels to Samtsiro Georgian monastery of nuns. The monks of Opiza fulfilled this request and sacrificed the manuscript to Samtsiro Monastery.

KEY WORDS: Opiza, Jvari, Samtsiro, Gospels, Sacrifice

The collection of Georgian manuscripts at the library of Greek Patriarchate of Jerusalem has preserved Gospels written on a parchment and lacking the beginning, the Gospels are preserved under number 153 (Jer.Geo.153) and contain the Georgian text edited by Giorgi Mtatsmindeli (Gabidzashvili 2009, 123).

Scholarly literature yields three brief descriptions of the Gospels. Out of these, the first description is compiled by Aleksandre Tzagareli and published in 1888 in Russian (Цагарели 1888, 155), the second description has been made by Robert Blake and published in 1925 in English (Blake 1925, 150-151), and the third description has been compiled by Maia Karadze, Vladimer Kekelia, Lela Shatirishvili and Nestan Chkhikvadze and